

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა	3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)	5
სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)	6
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	8
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები	14
დასკვნის ბოლო გვერდი.....	15

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა

შპს „საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯი“-ს მენეჯმენტს

დ. აღმაშენებლის ქ. #9

ქ. საგარეჯო, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

- ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ (შემდგომში “კლუბი”) თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების, სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობისა და ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯების ანგარიშგებებს პერიოდისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

- წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად პასუხისმგებელია კლუბის მენეჯმენტი. მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებასა და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

- ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ. მიმოხილვა ჩავატარეთ მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის (ISRE 2400) (განახლებული)-ის შესაბამისად, „გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შესახებ“. ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს მოსაზრების გამოთქმას იმის შესახებ, მიმოხილვის პროცესში მიიქცია თუ არა ყურადღება ისეთმა ფაქტმა, რომელიც ჩვენ დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძველების შესაბამისად. გარდა ამისა, ISRE 2400 (განახლებული) ჩვენგან მოითხოვს შესაბამისი ეთიკური მოთხოვნების დაცვას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვა ISRE 2400 (განახლებული)-ის შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული რწმუნების გარიგებას. აუდიტორი ატარებს პროცედურებს, რომლებიც ძირითადად შედგება ორგანიზაციაში მენეჯმენტისა და დანარჩენი პერსონალის გამოკითხვების, ანალიტიკური პროცედურების განხორციელებისა და მოპოვებული მტკიცებულებების შეფასებისაგან.

მიმოხილვისას ჩატარებული პროცედურები არსებითად ნაკლებია, ვიდრე პროცედურები გათვალისწინებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტორული შემოწმების ფარგლებში. შესაბამისად, ჩვენ არ გავცემთ აუდიტორულ დასკვნას წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი მოსაზრების საფუძველი

4. კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებულ დაფინანსებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განახორციელდა ცვლილება, რის შედეგადაც მოხდა პროგრამის გაგრძელება 2022 წლის ბოლომდე, ამ ეტაპზე დამტკიცებული არ არის 2022 წლის შემდეგ კლუბების დაფინანსებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პროგრამა.

კლუბმა ვერ მოიპოვა ალტერნატიული დაფინანსების მყარი გარანტიები, რითიც შეძლებს სამომავლო საოპერაციო საქმიანობის დაფინანსებას. აღნიშნული გარემოება წარმოშობს მნიშვნელოვან გაურკვევლობას, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კლუბის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რომელიც სათანადოდ და სრულად არ არის გახსნილი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

5. გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის მე-4 აბზაცში აღწერილი საკითხის შესაძლო გავლენისა, ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ არ მიუქცევია ისეთ ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და ანგარიშის გავრცელებისა და გამოყენების შეზღუდვა

6. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებული სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა.

მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

5 ოქტომბერი, 2022 წელი

თბილისი, საქართველო



სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუბების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)



ლიცენზიის მადიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

საბალანსო უწყისი	31.08.2022	31.08.2021
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	201,248	17,648
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
სხვა დებიტორული დავალიანება	9,542	
საგადასახადო აქტივები		332
მატერიალური მარაგები	2,251	
სხვა მიმდინარე აქტივები	-	
მთლიანი მიმდინარე აქტივები	213,041	17,980
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	63,531	3,816
არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები	1,152	6,858
არამატერიალური აქტივები - სხვა		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება		
საგადასახადო აქტივები		
ინვესტიციები		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	64,683	10,674
მთლიანი აქტივები	277,724	28,654
მიმდინარე ვალდებულებები		
ბანკის ოვერდრაფტები		
ბანკის და სხვა სესხები		17,073
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება		
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	35,002	17,530
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება	52,880	
დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი		
მოკლევადიანი ანარიცხები		10,556
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	82,454	44,386
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	170,336	89,545
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ბანკის და სხვა სესხები		
მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება		
ჯგუფის სანარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები		
თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები		
საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება		
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		
გრძელვადიანი ანარიცხები		
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	170,336	89,545
მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები)	107,388	(60,891)
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო/საწესდებო კაპიტალი	584,501	79,501
გაუნაწილებელი მოგება	(477,113)	(140,392)



კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
საბალანსო უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

საბალანსო უწყისი	31.08.2022	31.08.2021
სხვა რეზერვები		
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	107,388	(60,891)
მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები	277,724	28,654
კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)	TRUE	TRUE
მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი	196,192	8,795
პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ	(93,804)	(69,686)
კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში	5,000	
ცვლილება გადაფასების რეზერვში		
სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში		
მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი	107,388	(60,891)
შემოწმება	TRUE	TRUE
მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი		
დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად		
დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს	-	-
მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია		
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში		
პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა	3,030	6,142
დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად	(4,182)	(13,000)
გაუფასურების ანარიცხები პერიოდში	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს	(1,152)	(6,858)
ნეტო საბალანსო ღირებულება		
პერიოდის დასაწყისში	-	-
პერიოდის ბოლოს	1,152	6,858
შემოწმება	TRUE	TRUE

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

5.10.2022

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

Football Club
Sagarejo
Gareji LLC

Digitally signed
by Football Club
Sagarejo Gareji
LLC
Date: 2022.10.05
07:23:07 -07'00'

ლაზარე დათუნაშვილი

თარიღი: **5.10.2022**

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



კლუპების ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მოგება-ზარალის უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)



ლიცენზიის მადიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

მოგება-ზარალის უწყისი	31.08.2022	31.08.2021
ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები		
ამონაგები ბილეთებიდან - აზონმენეტები		
ამონაგები ბილეთებიდან - სანეცროები		
ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ამონაგები ბილეთებიდან	-	-
სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი		
სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე		
სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ სპონსორობა და რეკლამა	-	-
ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები		
ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ ტრანსლაციის უფლებები	-	-
კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები		
კომერციული - საქონლის გაყიდვა		
კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში		
კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი		
სულ კომერციული	-	-
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები		
უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი		
უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა	-	-
სუბსიდიები, შემონირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან		
სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	1,012,780	559,634
შემონირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან		
შენატანები/შემონირულობები დაკავშირებული მხარეებისგან		
შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან		
განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი		19,995
სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ სხვა შემოსავალი	1,012,780	579,629
სულ შემოსავალი	1,012,780	579,629
რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი		
სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე	-	-
ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება	(306,558)	(210,099)
ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(4,273)	(6,730)
ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები	(310,831)	(216,829)
სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება	(210,575)	(82,093)
სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები	(2,376)	(2,094)
სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი		
სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(212,951)	(84,187)
თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი		
სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები	(523,782)	(301,016)



კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
მომავალ-წარსლის უწყისი
(ეროვნული ლიცენზირება)



ლიცენზიის მადიგებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

მომავალ-წარსლის უწყისი	31.08.2022	31.08.2021
ძირითადი საშუალებების ცვეთა	(5,877)	(319)
სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა)		
ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება		
სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)	(5,877)	(319)
მატჩის დღის ხარჯები	(235,345)	(85,570)
სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები		
კომერციული აქტივობების ხარჯები		
უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები	(25,589)	(10,625)
არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები	(282)	(279)
განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები		
სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი	(311,901)	(171,173)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(573,117)	(267,647)
სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)	(1,102,776)	(568,982)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია)	(3,030)	(6,142)
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია)		
წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან	(3,030)	(6,142)
კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით	(3,030)	(6,142)
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან		
მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან		
სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან	-	-
ფინანსური შემოსავალი		
ფინანსური ხარჯი	(778)	(1,290)
წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(778)	(1,290)
სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო)		
სხვა ხარჯი (არასაოპერაციო)		
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)	-	-
საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი)		(72,901)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ	(93,804)	(69,686)
დივიდენდები		
მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ	(93,804)	(69,686)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქცირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელმძღვანელო უფლებამოსილი პირი (მიუთითეთ თანამდებობა და ვინაობა):

დირექტორი

Football Club
Sagarejo
Gareji LLC

Digitally signed by
Football Club Sagarejo
Gareji LLC
Date: 2022.10.05
07:27:59 -07'00'

თარიღი: 5.10.2022

სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



**კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
(ქრონოლოგიური ლიცენზირება)**



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი		31.08.2022	31.08.2021
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან		(862,095)	(560,273)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			(13,000)
მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები		(3,224)	(4,850)
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,224)	(17,850)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მენილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე			
მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები		37,000	33,000
(გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები		(37,739)	(17,217)
სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები		5,000	
(გადახდილი) ფულადი სახსრები მენილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი			
ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან		4,261	15,783
სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა)		1,051,787	579,136
წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში		190,729	16,796
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია			
საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი		11,519	852
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში		190,729	16,796
საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი		202,248	17,648
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან)		201,248	17,648

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქცირებულია
გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი (მფლობელი და ვინაობა):

დირექტორი; **Football Club Sagarejo Gareji LLC** **ფაზარე დათუნაშვილი**

თარიღი: 5.10.2022

Sagarejo Gareji LLC
Date: 2022.10.05
07:31:58 -07'00'

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: კლუბის შესახებ

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ (ს/ნ 438114041) სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კლუბის დირექტორია ლაზარე დათუნაშვილი.

კლუბის სამომავლო მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონში ფეხბურთის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა;
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ზავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით საფეხბურთო ტურნირების ჩატარება;
- ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა და მათი წახალისება;
- დასახული მიზნების მისაღწევად კლუბი ამზადებს და ახორციელებს გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებსა და პროექტებს, შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად;
- კლუბი შეიძლება ეწეოდეს აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება კლუბის მიზნების განხორციელებას.

კლუბის სამუშაო გეგმას წარმოადგენს - საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება უფა-ს სტანდარტებთან. დაგეგმილია კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელების შემდგომში ტრანსფერებით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი“ მეწილეები არიან:

მეწილეები	31-აგვ-2022	31-აგვ-2021
ლაზარე დათუნაშვილი	60 %	60 %
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	40 %	40 %

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

• მომზადების საფუძველი

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს სტანდარტის მიხედვით.

წარმოდგენილი „სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება“ მომზადდა დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

• სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

კლუბის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)• **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2022 წლის 31 აგვისტოსთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	31-აგვ-2022	31-აგვ-2021
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.9045	3.1170
ლარი / 1 ევრო	2.9126	3.6768

• **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისგან“, სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისგან მიღებული თანხები და სხვა შემოსავლები.

დაფინანსება / სუბსიდია - მიღებულ დაფინანსებასთან/სუბსიდიასთან დაკავშირებული შემოსავლების აღიარება ხდება დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი დანახარჯებისა ან ხარჯების აღიარების პროპორციულად, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნას მიღებული დაფინანსებით/სუბსიდიით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომელთაც გავლენის ქონა შეუძლიათ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელშიც გაწერილია ყველა ის მიმართულება და პროექტი, რომლის განვითარებასაც გეგმავს სფფ. აღნიშნული პროგრამა დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ახალი ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა ააიპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს შესაბამისი მიზნობრიობის გათვალისწინებით. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან დაფინანსების გამოყოფა მოხდება სწორედ ფონდის მეშვეობით. ააიპ „ფეხბურთის განვითარების ფონდის“ ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. 2016-2020 წლების ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2016 წლის ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად თანხების გადანაწილება გუნდებზე 2017-2020 წლების ჩემპიონატზე მოხდება დადგენილი კალათების მიხედვით (მათ შორის პრემიალური, საპრიზო და ა.შ) კერძოდ:

პროფესიული ლიგა 1 -ისთვის კალათა შეადგენს 1,000,000 ლარიდან 3,344,444 ლარამდე;

პროფესიული ლიგა 2 -ისთვის კალათა შეადგენს 700,000 ლარიდან 1,772,222 ლარამდე;

2017 წლის 1 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #268-ის მიხედვით საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ.) სახელმწიფო პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, პროგრამა გაგრძელდა 2021 წლამდე. ამავე დადგენილებით 2016-2021 წლებში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო თანხა განისაზღვრა 211,126,949 ლარის ოდენობით.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის 2022 წლის 1 თებერვლის #00002568 ბრძანების საფუძველზე, დამტკიცდა ქვეპროგრამა „ქართული ფეხბურთის განვითარება“. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი განსაზღვრულია 37,417,800 ლარით.

შენიშვნა 3. გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

2022 წლის 4 თებერვალს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მიერ წარდგენილ იქნა 2022 წლის ფონდის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვით საბაზისო დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 20,300,000 ლარი.

კლუბებთან გაფორმებულია 2022 წლის საბაზისო დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებები, შემდეგი მოცულობის მიხედვით:

ეროვნული ლიგა (10 გუნდი) - საბაზისო - 750,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 2 (10 გუნდი) - საბაზისო - 500,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 3 (16 გუნდი) - საბაზისო - 250,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
ეროვნული ლიგა 4 (16 გუნდი) - საბაზისო - 150,000 ლარი (თითოეულ გუნდს)
რეგიონალური ლიგა (28 გუნდი) - საბაზისო - 50, 000 ლარი (თითოეულ გუნდს)

ამასთან, ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან“ საფეხბურთო კლუბებმა 2022 წელს მიიღეს საპრიზო/პრემიალური და ფინანსურ სტიმულირებასთან დაკავშირებული დაფინანსება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის, საფეხბურთო კლუბისთვის არ არის ცნობილი 2022 წლის შემდგომ დამტკიცებული ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის შესახებ.

შენიშვნა 4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები მოიცავს 2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთს ეროვნულ ვალუტაში (ლარში), რომელიც შედგება 201,248 ლარისგან. (2021 წლის 31 აგვისტო: 17,648 ლარი) .

შენიშვნა 5. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2021 წლის 31			
დეკემბრისთვის	63,214	4,135	67,349
დამატებები	-	2,732	2,732
ჩამოწერები	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31			
აგვისტოსთვის	63,214	6,867	70,081
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2021 წლის 31			
დეკემბრისთვის	(87)	(586)	(673)
პერიოდის			
ცვეთა	(5,239)	(638)	(5,877)
ნაშთი 2022 წლის 31			
აგვისტოსთვის	(5,326)	(1,224)	(6,550)
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 2021 წლის 31			
დეკემბრისთვის	63,127	3,549	66,676
ნაშთი 2022 წლის 31			
აგვისტოსთვის	57,888	5,643	63,531

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		-	-
დამატებები	63,214	4,135	67,349
ჩამოწერები		-	-
ნაშთი 2021 წლის 31 აგვისტოსთვის	63,214	4,135	67,349
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		-	-
პერიოდის ცვეთა		(319)	(673)
ნაშთი 2021 წლის 31 აგვისტოსთვის		(319)	(319)
ნარჩენი ღირებულება			
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის		-	-
ნაშთი 2021 წლის 31 აგვისტოსთვის		3,816	3,816

შენიშვნა 6. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ წარმოადგენს გადასახდელ ხელფასებს 35,002 ლარის ოდენობით. (2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით: 17,530 ლარი).

შენიშვნა 7. ბანკის და სხვა სესხები

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბს არ უფიქსირდება ბანკისა და სხვა სესხები (2021 წლის 31 აგვისტოსთვის ბანკის და სხვა სესხები შედგებოდა ფიზიკური პირისგან მიღებული სესხისგან - 16,000 ლარი. გადასახდელი პროცენტი შეადგენდა 1,073 ლარს).

შენიშვნა 8. საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება

საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება წარმოადგენს დარიცხულ ხელფასებზე და პრემიებზე დარიცხულ საშემოსავლო გადასახადს, რომელიც 2022 წლის 31 აგვისტოსთვის შეადგენს 52,880 ლარს. (2021 წლის 31 აგვისტოსთვის: 0 ლარი).

შენიშვნა 9. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

სხვა მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად შედგება ა(ა)იპ თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (55,255 ლარი), შპს „სპორტს დეველოპმენტისგან“ (6,155 ლარი) და სხვა 21,044 ლარის ვალდებულებებისგან. (2021 წლის 31 აგვისტოსთვის: 44,386 ლარი).

შენიშვნა 10. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კლუბის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 584,501 ლარს. (2021 წლის 31 აგვისტოსთვის: 79,501 ლარი).

შენიშვნა 11. სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალურ ხელისუფლებისგან

სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალურ ხელისუფლებისგან	31-აგვ-2022	31-აგვ-2021
ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი	953,059	513,125
სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	53,421	46,509
სპორტული საქონელი საჩუქრად	6,300	-
სუბსიდიები, შემოწირულობები ან სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალურ ხელისუფლებისგან	1,012,780	559,634

შენიშვნა 12. ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

შენიშვნა 13. სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს კლუბის სხვა პერსონალზე - მწვრთნელები, ადმინისტრაციული, სამედიცინო და სხვა პერსონალზე დარიცხულ ძირითად ხელფასსა და პრემიას, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

შენიშვნა 14. მატჩის დღის ხარჯები

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს კლუბის გუნდების ტრანსპორტირების, სასტუმროს, სტადიონის იჯარის, ასევე გულშემოტყვივართა მომსახურებისა და სხვა ხარჯებს.

შენიშვნა 15. უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები

უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები მოიცავს კლუბის მიერ გადახდილ საიჯარო ხარჯებს ფეხბურთელების საცხოვრებლისთვის.

შენიშვნა 16. სხვა საოპერაციო ხარჯი, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი

სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი შედგება მარაგების ჩამოწერის, საკონსულტაციო მომსახურებების, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის საწევრო ხარჯისა და სხვა ხარჯებისგან.

შენიშვნა 17. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- სასამართლო დავები**

2022 წლის 31 აგვისტოთი დასრულებული პერიოდისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

შენიშვნა 18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან.

შენიშვნა 18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გგრძელება)

ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსსა და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის ტიპი	31-აგვ-2022	31-აგვ-2021
კლუბის თანადამფუძნებელი	სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან	53,521	513,125
კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა	ხელფასის ხარჯი	23,852	15,306

შენიშვნა 19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ქართული ფეხბურთის განვითარების ქვეპროგრამის მიხედვით ფონდის მიერ საფეხბურთო კლუბები საქართველოში 2022 წლის ბოლომდე ეროვნულ ლიგა 1-ში ასპარეზობის შემთხვევაში დაფინანსდებიან საბაზისო დაფინანსებით - 750,000 ლარი, ხოლო ეროვნულ ლიგა 2-ში ასპარეზობის შემთხვევაში, საბაზისო დაფინანსებით - 500,000 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისაგან მიღებული ფულადი სახსრები შეადგენს 13,868 ლარს, ხოლო ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული ფულადის სახსრები შეადგენს 44,000 ლარს.

კლუბის 60% წილის ამჟამინდელი მფლობელი ლაზარე დათუნაშვილი აგრძელებს კლუბის დაფინანსებას და უზრუნველყოფს კლუბს ფინანსური კუთხით. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კლუბის მიერ ლაზარე დათუნაშვილისგან მიღებული თანხები შეადგენს 25,000 ლარს.

შენიშვნა 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე უკავშირდება ეკონომიკურ და პოლიტიკურ სირთულეებს, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო სამხედრო შეჭრა უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კლუბი არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კლუბს ან მის მფლობელებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ხარჯები

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან



**კლუბის ლიცენზირებისა და მონიტორინგის სისტემა
აფგ პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი
(პროგრამის ლიცენზირება)**



ლიცენზიის მაძიებელი:

შპს საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი

ახალგაზრდული ფეხბურთის ხარჯებისა და შემოსავლების უწყისი	31.08.2022	31.08.2021	კომენტარი
ხარჯები			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები, იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც სრულად არიან ჩართული ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში	55,342	40,877	
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (18-წლამდე)			
თანამშრომლების გასამრჯელოები / ხარჯები ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის (19-დან 21-წლამდე)			
საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის ხარჯები (ფეხბურთელების საცხოვრებელი, სასტუმროები და სხვ.)			
სამედიცინო დანახარჯები (სამედიცინო მომსახურება, რეაბილიტაცია, ვიტამინიზაცია)			
აფგ პროგრამაში ჩართულ პირთა (მწვრთნელები, ფეხბურთელები) სწავლის გადასახადი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული მივლინებები (ტრანსპორტირების ჩათვლით)	7,451	19,264	
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სადღეღამისო დანახარჯები			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების სპორტული ფორმა, ეკიპირება და ინვენტარი			
აფგ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ხარჯი (ახალგაზრდული გუნდების სავარჯიშო და სათამაშო სტადიონი და/ან ბაზა - მშენებლობა / მოვლა / ქირა; ოფისის კომუნალური გადასახადები / ქირა)			
აფგ პროგრამაში ჩართული გუნდების ტურნირებში მონაწილეობის გადასახადი			
ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების საქმიანობაზე უშუალოდ მისაკუთვნებელი სხვა დანახარჯები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში! (მაგ.: ოპერატორი და სხვ.)	746		მომსახურების ღ-ბა 257: სამედიცინო მომსახურება 200: კომუნიკაციის მსახურება 157: ბანკის საკომისიო ხარჯი 74: საქართველოს ფოსტა-21:
სულ აფგ პროგრამის ხარჯები	63,539	60,141	
შემოსავლები			
უშუალოდ აფგ პროგრამის მთლიანი შემოსავალი (სწავლებისა საფასური, სანეკროები და ა.შ.)			
უეფადან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სფფ-დან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი თანხები ახალგაზრდული ფეხბურთისთვის			
ახალგაზრდული ფეხბურთისთვის მისაკუთვნებელი სხვა შემოსავლები - დააკონკრეტეთ კომენტარის გრაფაში!	53,421	46,509	მუნიციპალიტეტი საგარეჯო
უშუალოდ აფგ პროგრამისთვის მისაკუთვნებალი მთლიანი შემოსავალი	53,421	46,509	
წმინდა შედეგი	(10,118)	(13,632)	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კატეგორიის მაძიებელი იურიდიული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ:

უფლებამოსილი პირი: **ლაზარე დათუნაშვილი**
თარიღი: **5.10.2022**

ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულია აუდიტორული კომპანიის მიერ:

აუდიტორული კომპანია: **შპს მოორ ეიზისი**
უფლებამოსილი წარმომადგენელი: **მაზაიაძე**
თარიღი: **5.10.2022**


Football

Digitally signed by

Sagarejo Gareji LLC

Date: 2022.10.05

06:57:24 -07'00'



- დოკუმენტის დასასრული -